	“GÖÇAY İNŞAAT TAAHHÜT VE TİCARET ANONİM ŞİRKETİ“	Revision 02
	Contractor's Decease (Anthrax) spreading prevention plan	
Date: 31/08/23		

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი



საერთაშორისო მნიშვნელობის
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი
თბილისი-ბაკურციხის, კმ35+500 -კმ52+540 - მონაკვეთის
საგარეჯო -ზადიურის
მშენებლობის პროექტი

მეორადი ინფექციური დაავადებების (ჯილეხის)
გავრცელების პრევენციის მართვის გეგმა
გზის მშენებლობის სამუშაოების
განხორციელებისას

შემსრულებელი: DG CONSULTING
დირექტორი: დავით გირგვლიანი

თბილისი, 2023 წლის აგვისტო

DG Consulting Ltd

Address: 10, Mirza Gelovani Street, 0160, Tbilisi, Georgia; Registered in Georgia, No 205 280 998;
t: +995 322 380 313; +995 599 500 778; e: dgconsge@gmail.com; dgirgvliani@gmail.com

შ ი ნ ა ა რ ს ი

1.	შესავალი	3
2.	დაგეგმილი საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....	5
2.1.	პროექტის დერეფნის აღწერა	6
2.2.	მეორადი ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი.....	10
2.2.2.	ჯილდოს გავრცელების სავარაუდო წყაროები	14
2.2.3.	რეკომენდაციები ჯილდოს სავარაუდო წყაროს აღმოჩენის შემთხვევაში.	14
3.	მშენებელი კონტრაქტორის ქმედებები ჯილდოს პრევენციასთან დაკავშირებით	16
3.1.	სწავლება, ცნობიერების ამაღლება და ინსტრუქტირება	16
3.2.	პერსონალის ქმედებები საექვო ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში	16
4.	პასუხისმგებლობები.....	17
5.	დოკუმენტის განახლება	19

ნახაზები

ნახაზი 2.1.1	პროექტის დერეფანი მეორეხარისხოვანი და სოფლის გზების ჩათვლით (ნაწილი 1)	8
ნახაზი 2.1.2	პროექტის დერეფანი მეორეხარისხოვანი და სოფლის გზების ჩათვლით (ნაწილი 2)	9
ნახაზი 2.2.1	სურსათის ეროვნული სააგენტოს რუკა ჯილდოს რეგისტრირებული კერების ჩვენებით პროექტის დერეფანთან მიმართებაში.....	13

დანართი

დანართი 1 - სურსათის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია.....	20
--	-----------

1. შესავალი

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და სატრანსპორტო ქსელი მოდერნიზება-განვითარება წარმოადგენს. აღნიშნული ასახულია მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში შემუშავებული რეფორმების ოთხ პუნქტიან გეგმაშიც, გეგმის გათვალისწინებით სივრცითი მოწყობის პრიორიტეტული ამოცანაა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალის მოდერნიზება, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს რეგიონულ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ცენტრად გარდაქმნაში და საქართველოს გავლით დააკავშირებს ცენტრალურ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთს თურქეთთან და ევროპასთან. აღნიშნული მაგისტრალის დაკავშირებას საქართველოს ძირითად სასაზღვრო გამტარ პუნქტებთან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ე.წ. აბრეშუმის გზის გასწვრივ ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო როლის ზრდისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით დაიწყო პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის მთავარი საავტომობილო გზების გაუმჯობესებასა და მოდერნიზებას. აღნიშნული პროგრამა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი კონტროლს ექვემდებარება. მთლიანი ავტომაგისტრალის პროექტის სქემა მოიცავს ორ ნაწილს: თბილისი ბაკურციხე (დაახლოებით 80 კმ.) და წნორი-ლაგოდეხი (დაახლოებით 40 კმ). ჯამში 120 კმ. პროექტის სქემის ნაწილი სამშენებლო სამუშაოების მიხედვით იყოფა რამდენიმე ლოტად.

ზემოაღნიშნული საავტომობილო გზის საგარეჯო (თბილისი-საგარეჯოს მთლიანი მონაკვეთის) მშენებლობის და ექსპლუატაციის გზმ-ს ანგარიში მომზადებულია 2021 წელს, რის საფუძველზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-1420 04/10/2021). გადაწყვეტილების პირობებით (პუნქტი 11), პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას დაევალა „მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო სამუშაოების წარმოება უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის №274 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით”

აღსანიშნავია, რომ ხსენებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ფარგლებში საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით, სამშენებლო სამუშაოები გაიყო სამ მონაკვეთად: თოხლიაური - ბადიაური კმ35+500 - კმ52+540; ბადიაური-ჩალაუბანი კმ52+540 - კმ75+100; და ჩალაუბანი-ბაკურციხე კმ75+100 - კმ75+100.

წინამდებარე ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციისა და მართვის გეგმა შეეხება საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-5) თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის, თბილისი-ბაკურციხის, კმ35+500 - კმ52+540

მონაკვეთის საგარეჯო - ბადიურის გზის მშენებლობას, რომლის სამუშაოებსაც განახორციელებს თურქული კომპანია „გოჩაი ინშაათ თააჰუთ ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი“.

2. დაგეგმილი საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

მოგეხსენებათ, რომ ამხანაგობა „გოჩაი ინშაათ თააჰუთ ვე თიჯარეთანონიმ შირქეთი“ ახორციელებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-5) თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის, თბილისი-ბაკურციხის, კმ35+500 -კმ52+540 - მონაკვეთის საგარეჯო - ბადიაურის მონაკვეთი, სამშენებლო სამუშაოებს. მონაკვეთის საერთო სიგრძე შეადგენს დაახლოებით 17 კმ-ს.

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია ზემოთ ხსენებული ჩქაროსნული ავტომაგისტრალის საგარეჯო - ბადიაურის (თოხლიაური-ბადიაური) გზის მონაკვეთის მშენებლობისას მოსალოდნელი ინფექციური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებისა და პროცესების მართვის საკითხები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაგისტრალის მშენებლობისთვის შერჩეულ დერეფანზე ჩატარდა სხვადასხვა სახის გარემოსდაცვითი სამუშაო. პროექტისთვის მომზადებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (2021), რომელზეც 04/10/2021 გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-1420. გადაწყვეტილების დოკუმენტის მე-11 პუნქტის შესაბამისად, საავტომობილო გზების დეპარტამენტს (მშენებლობის დამკვეთი ორგანიზაცია) დაევალა, რომ სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის N 274 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

აღნიშნული საკითხი დაისვა „ვეტსანჰიგ-ეკოლოგიას“ წარმომადგენლების მიერ პროექტის საჯარო განხილვაზე. კომპანიის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს პოზიცია საპროექტო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ჯილდოს დაავადების გავრცელების თავიდან აცილების ღონისძიებების შესახებ, ამასთან ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შპს „ვეტსანჰიგ-ეკოლოგიას“ მიერ სამინისტროში წერილობით იქნა წარმოდგენილი მათი პოზიცია და განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადებული იყო საგარეჯოს აღმოსავლეთ ნაწილი - ბაკურციხის მონაკვეთისათვის, რომელიც განიხილავდა საავტომობილო გზის 49 კილომეტრიან მონაკვეთს, რომლისგანაც საგარეჯო - ბადიაურის მონაკვეთი საპროექტო გზის ნაწილი გამოიყო ცალკე მონაკვეთად და რომელზეც სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს „გოჩაი ინშაათ თააჰუთ ვე თიჯარეთანონიმ შირქეთი“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად „გოჩაი ინშაათ თააჰუთ ვე თიჯარეთანონიმ შირქეთი“, ხსენებული გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში განხილული გზის მონაკვეთიდან (49 კმ) სამუშაოებს ჩაატარებს მხოლოდ მის დაახლოებით მესამედ ნაწილზე. წარმოდგენილი ჯილდოს მეორადი ინფექციური დაავადებების (ჯილდოს) გავრცელების პრევენციის მართვის გეგმა შეეხება სწორედ ხსენებულ საგარეჯო (თოხლიაური) - ბადიაურის მონაკვეთს.

სამშენებლო სამუშაოების განხორციელების არეალი სრულად მდებარეობს ანთროპოგენული ზემოქმედების ქვეშ მყოფ სასოფლო სამეურნეო ტერიტორიებზე, და პრაქტიკულად არ ეხება ბუნებრივი ლანდშაფტების სახით წარმოდგენილ ტერიტორიებს, თავისუფალ სამოვრებს და მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის გადასარეკ გზებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის განხორციელებისათვის არ არის საჭირო ღრმა ექსკავაციის წარმოება, გათვალისწინებულია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა მაქსიმუმ 30 სმ სისქით და შემდგომ რელიეფის გასწორება ნიშნულების მიხედვით ყრილის მოსაწყობად, რაც არ ითვალისწინებს ღრმა ექსკავაციას. გრუნტის სიღრმეზე გათხრა გათვალისწინებულია მხოლოდ სადრენაჟე კიუვეტებისა და წყალგამტარების უბანზე, რაც საჭიროებს მხოლოდ ლოკალურ საექსკავაციო სამუშაოებს.

2.1. პროექტის დერეფნის აღწერა

პროექტის საკვლევი მონაკვეთი იწყება კმ 35+500-ზე და მთავრდება კმ 52+540-ზე, დერეფანი განლაგებულია არსებული საავტომობილო გზის სამხრეთით, და ფარავს ძირითადად გაშენებული ვენახების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტიპის ნაკვეთებს. საგარეჯოს აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული ინდუსტრიული ზონის შემდგომ, სადაც სრულდება გზის წინა მონაკვეთი (საგარეჯოს შემოვლითი გზის ბოლო წერტილი). საგარეჯოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ინდუსტრიული ზონის შემდეგ, გზის სამშენებლო დერეფანი გაივლის სოფელ მანავის ტერიტორიას, სადაც ის სრულად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზეა განთავსებული. მანძილი არსებულ საავტომობილო გზამდე და სოფელ მანავის უახლოეს დასახლებამდე შეადგენს დაახლოებით 1000 მეტრს, ხოლო რკინიგზის ხაზამდე დაახლოებით 500 მეტრს.

მანავის შემდგომ, გზის დერეფანი უხვევს სამხრეთისკენ და მნიშვნელოვნად სცილდება არსებულ საავტომობილო გზასა და დასახლებულ უბნებს. გადაკვეთს ჩაილურის ხევს და გრძელდება სოფელ ბადიაურამდე.

ბადიაურის სამხრეთით გზის დერეფანი უახლოვდება დასახლებულ ტერიტორიას, გადის დასახლების უშუალო სიახლოვეს და შემდგომ უხვევს ჩრდილოეთისკენ არსებული გზის მიმართულებით და სრულდება დაპროექტებული საგზაო კვანძით.


ნახაზი 2.1.1-ზე წარმოდგენილია პროექტის გასხვისების დერეფანი, რომელიც გადაეცა მშენებელ კონტრაქტორს „გოჩაი ინშაათ თააჰუთ ვე თიჯარეთანონიმ შირქეთი“-ის სამუშაოების განხორციელების პერიოდისთვის.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოთა სახეობებია:


- მოსამზადებელი სამუშაოები;
- მიწის ვაკისის მოწყობა;
- ხელოვნური ნაგებობების მოწყობა;

- საგზაო სამოსის მოწყობა;
- რკინიგზის გადაკვეთაზე შესაბამისი სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოები;
- გზის კუთვნილება და მოწყობილობა
- კომუნიკაციების გადატანის/დაცვის სამუშაოები.

გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში, რომელიც საფუძვლად დაედო პროექტზე გაცემულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, დეტალურად არის აღწერილი პროექტის მონაკვეთი (კმ35+500 - კმ52+540), რომლის სიგრძეც შეადგენს დაახლოებით 17 კმ-ს.



ნახაზი 2.1.1 პროექტის დერეფანი მეორეხარისხოვანი და სოფლის გზების ჩათვლით (ნაწილი 1)



ნახაზი 2.1.2 პროექტის დერეფანი მეორეხარისხოვანი და სოფლის გზების ჩათვლით (ნაწილი 2)

2.2. მეორადი ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი

ცხოველთა ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკები და კერძოდ ჯილენის გავრცელების რისკები, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით დაკავშირებულია ცხოველთა გვამებისა და ტყავის ნარჩენებთან, ცხოველთა სამარხების გათხრასთან, ასევე ძველი ნაგები შენობებისა და ნაგებობების დემონტაჟთან, სადაც ისტორიულად გამოყენებული იყო ცხოველთა ბეწვი სამშენებლო მასის შემკვრელის სახით.

საავტომობილო მაგისტრალის ს5 საპროექტო დერეფანში (სოფ. თოხლიაურის მიმდებარე ტერიტორიიდან სოფ. ბადიაურის ჩათვლით) ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია მიწის სამუშაოების პერიოდში პერსონალისა და საზოგადოების დაცვა დაავადებების გავრცელებისგან. მაღალი რისკის მქონე ობიექტებიდან შესაძლოა დერეფანში დაფიქსირდეს შინაური ცხოველების სამარხები, ან დავარდნილი საქონლის ლეში, რომელიც პოტენციურად შეიძლება წარმოადგენდეს დაავადებების გავრცელების წყაროს.

ზოგადად მიიჩნევა, რომ არსებული სამარხების (მათ შორის არარეგისტრირებულის) მახლობლობაში (მაგ. ჯილენის სამარხები) მიწის სამუშაოების შესრულებისას ბიოლოგიური მასალებით ნიადაგის ან წყლის ხელმეორე დაბინძურების და პერსონალისა და ახლომახლო მცხოვრები ადამიანების დაავადების რისკი იზრდება. ამგვარი რისკი მცირე ალბათობისაა, მაგრამ მისი უგულვებელყოფა არ არის მიზანშეწონილი.

„ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში განსაზღვრულია ჯილენის გავრცელების კუთხით საფრთხის შემცველი ტერიტორია.

საფრთხის შემცველი ტერიტორია. – დასახლებული პუნქტი, ცხოველთა გადასარეკი ტრასა, სამოვარი, ადმინისტრაციული ერთეული, სადაც არის ცხოველისა და ადამიანის ჯილენით დაავადების საშიშროება. საფრთხის შემცველი ტერიტორიის საზღვრებს ადგენს სააგენტო, ეპიზოოტიური და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის, მანიფესტური და არამანიფესტური პუნქტების, ნიადაგურ - გეოგრაფიული, ბუნებრივ - კლიმატური პირობების და ცხოველთა მომთაბარეობის გათვალისწინებით;

ასევე განმარტებულია, რომ საფრთხის შემცველი ტერიტორიის საზღვრებს ადგენს სააგენტო.

რაც შეეხება მიწის სამუშაოების დროს საექვო ობიექტის აღმოჩენას, რომელიც შესაძლოა იყოს სამარხი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს “სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის” ვეტერინარული ზედამხედველობის დეპარტამენტი პასუხისმგებელია კომპლექსური სანიტარული ღონისძიებების გატარებაზე. ინფორმაცია საექვო სამარხების აღმოჩენის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს ვეტერინარიის დეპარტამენტს მშენებელი კონტრაქტორის მიერ.

მშენებელმა კონტრაქტორმა, „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ - საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილების შესაბამისად მიმართა სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს თხოვნით მოეწოდებინა ინფორმაცია პროექტის კორიდორში არსებული ჯილენის კერების ან ცხოველთა სამარხების შესახებ.

სურსათის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად (დანართი 1) სააგენტოს ხელთ არსებული ოფიციალური მონაცემებით, პროექტის დერეფნის სიტუაციურ გეგმაზე და SHP. ფაილებზე მითითებულ ტერიტორიაზე ჯილენით მკვდარი ცხოველების რეგისტრირებული სამარხები არ ფიქსირდება, თუმცა, მისგან დაშორებით, 7000 მ-ში რეგისტრირებულია ეპიზოოტიური კერა (იხ. ნახაზი 2.2.1). ამავე დროს ინფორმაციაში აღნიშნულია რომ კახეთის რეგიონის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ჯილენის აღმძვრელის არსებობაზე საფრთხის შემცველ ტერიტორიას, სადაც სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მრავლადაა დღემდე უცნობი სპონტანური კერები და უკონტროლო სამარხები, რომელიც რისკის მატარებლად რჩება ათეულობით წელი.

სურსათის სააგენტოს რეკომენდაციით კონტრაქტორმა უნდა იმოქმედოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილების დანართი #2-ის (ცხოველების ჯილენთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად. ასევე მოთხოვნილია, რომ სამუშაოების წარმოების პროცესში ჯილენზე ექვის მიტანისას ან/და ჯილენის შემთხვევის დაფიქსირებისას, კონტრაქტორმა უნდა შეაჩეროს სამუშაოები და აცნობოს აღმოჩენის შესახებ სურსათის ეროვნულ სააგენტოს. წინამდებარე დოკუმენტი რეკომენდაციების შესაბამისად ითვალისწინებს პერსონალის სწავლებას ჯილენის შესაძლო კერის დადგენის მიზნით და სამუშაოების შეჩერებას ექვის გაჩენის შემთხვევაში.

სპეციალური კვლევა ჯილენის სამარხებთან დაკავშირებით საპროექტო კორიდორში არ არის განხორციელებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დერეფანზე არ გადის შინაური ცხოველების გადასარეკი გზები, რომელთა მიმდებარედ ეწყობოდა ჯილენის ორმოები. ტერიტორია ძირითადად წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო სავარგულებს სადაც აქტიურად მიმდინარეობდა ხვნა-კულტივაციის სამუშაოები და მიწის ზედა ფენაში რაიმე სამარხის არსებობის რისკი ძალიან დაბალია. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თოხლიაური ბადიაურის გზის მშენებლობის პროექტში ძირითადად ხდება გზის საფარის მოწყობა ამალგებულ ვაკისზე და შესაბამისად გრუნტის მოხსნის საჭიროება ძალიან დაბალია. გრუნტის მოხსნა გათვალისწინებულია ბორცვიან ადგილებზე, სადაც ჯილენის ორმოების არსებობის ალბათობა უკიდურესად დაბალია. ჯილენის ორმოების მოწყობა, ძირითადად ხდებოდა სტანდარტების შესაბამისად, ძირითადად განთავსების ადგილის შერჩევა ხდებოდა სწორ რელიეფზე ან დაბლობ ადგილებში. ბორცვებზე ორმოების განთავსების შემთხვევები პრაქტიკულად არ არსებობს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ჯილენის აღმოჩენის რისკი საავტომობილო მაგისტრალის ს5 საპროექტო დერეფანში სოფ. თოხლიაურის მიმდებარე ტერიტორიიდან სოფ. ბადიაურის ჩათვლით შეიძლება შეფასდეს როგორც დაბალი რისკი.

მიუხედავად იმისა, რომ არარეგისტრირებული სამარხების ან სავარაუდო სარისკო კერების

აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია სპეციალური ზომების გატარება, რაც უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის სტანდარტებს რომლებიც მიღებულია გზის მშენებლობის პროექტებისათვის.

0 2.5 5 km



- ჯილხის რეგისტრირებული კერა
- ობიექტი
- რეგიონი
- მუნიციპალიტეტი



ნახაზი 2.2.1 სურსათის ეროვნული სააგენტოს რუკა ჯილხის რეგისტრირებული კერების ჩვენებით პროექტის დერეფანთან მიმართებაში

2.2.1 ჯილახის გავრცელების სავარაუდო წყაროები

ჯილახის გავრცელების კუთხით სავარაუდო შემთხვევითი აღმოჩენები შეიძლება დაკავშირებული იყოს შემდეგი სახის აღმოჩენებთან:

1. მიწისქვეშა ბეტონის კონსტრუქციის შემთხვევითი აღმოჩენა, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ჭას, ან ბეტონის სარკოფაგს;
2. ქვის ან მყარი მასალით აგებული მიწისქვეშა კონსტრუქციის აღმოჩენა, რომელიც შესაძლოა იყოს სამარხი;
3. ძველებისა და ცხოველების ნარჩენების აღმოჩენა მიწის სამუშაოების დროს;
4. მღრღნელების ხვრელების კონცენტრირების უბნები, რომლებიც შესაძლოა მიემართებოდნენ სამარხისკენ;
5. დავარდნილი საქონლის სხეული ან ნაწილობრივ დეგრადირებული ლემი;
6. ტყავებისა და ცხოველების ნარჩენების გროვები

2.2.2. რეკომენდაციები ჯილახის სავარაუდო წყაროს აღმოჩენის შემთხვევაში

რეკომენდაციები სამშენებლო სამუშაოების დროს ჯილახის შესაძლო წყაროების აღმოჩენის შემთხვევაში შემუშავებულია სხვადასხვა ქვეყნის მიერ. დეტალური რეკომენდაციები მშენებლის ქმედებების შესახებ აღწერილია ბრიტანულ სახელმძღვანელოში, რომელიც პრაქტიკულად ფართოდ გამოიყენება მსოფლიო პრაქტიკაში და სრულად შეესაბამება საქართველოში არსებულ მოთხოვნებს.

რა უნდა ვიცოდეთ ჯილახის შესახებ: - ჯილახი არის პოტენციურად ფატალური ინფექცია რომელიც გამოწვეულია *bacterium Bacillus anthracis*-ით. ეს არის ზოონოზისის ტიპის დაავადება, რომელიც ცხოველებიდან გადაეცემა ადამიანს. ცხოველების დაავადება ხდება დაბინძურებული წყლის, თივის, ბალახის ან სპეციალური საკვების საშუალებით ან მინდვრებზე ძოვებისას ანდ დიდი რაოდენობის სპორების ჩასუნთქვის შემთხვევაში.

ჯილახით ადამიანების დაინფიცირების რისკი საკმაოდ დაბალია, ადამიანების დაინფიცირება ძირითადად ხდება ინფიცირებულ ცხოველებთან ურთიერთობით, მოვლის დროს, მათთან ანდ მათი სეკრეციის პროდუქტებთან, ბალანთან ანდ სხვა პროდუქტებთან კონტაქტის შედეგად. ჯილახი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით, ყველაზე გავრცელებული სახით, ჯილახი ზემოქმედებს კანზე და იკურნება ანტიბიოტიკების გამოყენებით. სხვა ტიპებიდან აღსანიშნავია პულმონოლოგიური (ფილტვის) ჯილახი, ინტესტინალური ტიპის ჯილახი, თუმცა რაიმე ჩანაწერები ან ფაქტები სამშენებლო ობიექტის მუშაკების ასეთი ტიპის ჯილახით დაინფიცირების შემთხვევები აღწერილი არ არის.

ჯილახის კერის ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტის (აღწერილია წინა ქვეთავში) შემთხვევითი აღმოჩენის შემთხვევაში რეკომენდებულია შემდეგი ქმედებები:

შეფასება: არსებობს თუ არა ჯილახის გავრცელების რისკი

ჩვეულებრივ ჯილენით დაინფიცირების რისკი მშენებელი პერსონალისთვის ძალიან დაბალია, თუმცა არსებობს სიტუაციები, როდესაც პრევენცია რეკომენდებულია. ჯილენი შეიძლება დაკავშირებული იყოს ძველი შენობების ან სამარხების დემონტაჟისას (მაგალითად დაინფიცირებული ცხოველების სამარხი ან ჩონჩხების გროვა, სასაფლაოების ექსკავაცია, ძველი შენობების დანგრევა) - ამ შემთხვევაში არსებობს ნიადაგის, გრუნტის და სამშენებლო ნარჩენების დაბინძურების რისკი;

კონტროლი:

პოტენციურად დაბინძურებული ადგილების აღმოჩენისას ნიადაგის ნიმუშის აღებამ და ლაბორატორიულმა კვლევამ შესაძლოა მოგვცეს რისკის ინდიკატორები, თუმცა ალტერნატივის სახით შეიძლება გამოყენებული იქნას თავის გადაზღვევის მიდგომა, და ჩაითვალოს რომ მომატებული რისკის ტერიტორიაზე სავარაუდოდ შეიძლება იყოს ჯილენის სპორები. ამავე დროს უნდა ჩაითვალოს რომ სპორების კონცენტრაცია დაბალია რაც მშენებლის პერსონალისთვის არ წარმოადგენს მაღალ რისკს, და მარტივი ჰიგიენური კონტროლი აბსოლუტურად ადექვატური უნდა იყოს თანამშრომელთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მართვა: უბანზე სადაც სავარაუდოდ შეიძლება იყოს ჯილენის სპორები რისკის კონტროლი უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად

- ზოგადი კონტროლი - საშიში მიკროორგანიზმების რისკის ზოგადი კონტროლი - ერთჯერადი ტანსაცმლისა და ხელთათმანების გამოყენება;
- პირადი დაცვის აღჭურვილობის გამოყენება - შესაბამისი დაცვის საშუალებების გამოყენება- უნდა შეირჩეს მტვრისგან დამცავი რესპირატორები 20 ერთეულიანი დაცვის ფაქტორით ან უკეთესი - (მაგ FFP3 -ის კლასის ან უკეთესი ერთჯერადი პირბადე, P3 კლასის ფილტრის მქონე რესპირატორი; ზონაში გრძელვადიანი მუშაობისთვის შესაძლოა გამოყენებული იქნას TH2 ტიპის ჩაფხუტი. აუცილებლად უნდა შემოწმდეს სხვადასხვა დაცვის საშუალებების ურთიერთ შესაბამისობა.
- ხელებზე და ტანზე დაზიანებული კანის არსებობის შემთხვევაში დაფარვა წყალმედეგი პლასტიკებით ან დამცავი სახევებით;
- ზოგადი ჰიგიენის მოთხოვნების შესრულება - ხელების ხშირი დაბანა, საპნის და დასაბანი საშუალებების გამოყენება, ხელის პირთან, თვალებთან კონტაქტის მაქსიმალურად შემცირება;
- მუშაობის დროს ხშირი შესვენებების მოწყობა - დასვენება, საკვების მიღება და ა.შ. ობიექტიდან შეძლებისდაგვარად შორ მანძილზე;
- იმუნიზაცია - ქვეყანაში მიღებული წესების შესაბამისად.

ზედამხედველობა:

დაცვის საშუალებების და ოპერირების სამუშაოების შესაბამისობა თანამშრომელთა დაცვის მოთხოვნებთან.

3. მშენებელი კონტრაქტორის ქმედებები ჯილახის პრევენციასთან დაკავშირებით

საავტომობილო მაგისტრალის ს5 მონაკვეთის სოფ. თოხლიაურის მიმდებარე ტერიტორიიდან სოფ. ბადიაურის ჩათვლით მშენებლობის პროექტის ფარგლებში მშენებელი კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი ქმედებები შემდეგნაირად განისაზღვრა:

3.1. სწავლება, ცნობიერების ამაღლება და ინსტრუქტირება

მშენებელი კონტრაქტორის პერსონალის სწავლების, ცნობიერების ამაღლების და ინსტრუქტირების კუთხით განსაზღვრულია 2 საფეხურიანი ქმედებები:

1. მშენებელი კონტრაქტორის მთელ პერსონალს, სამუშაოების დაწყებამდე ინსტრუქტაჟის პროგრამაში მიეწოდება მოკლე ინფორმაცია ჯილახის შესახებ და ჯილახის სამარხების აღმოჩენის შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნული მოკლე ინფორმაცია შეტანილი იქნება საწყისი ინსტრუქტაჟის პროგრამაში. ასევე თანამშრომლები გაფრთხილებული იქნებიან, რომ რაიმე საეჭვო ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართონ ობიექტის მენეჯერს - ინჟინერს ან გარემოსდაცვით და სოციალურ სავლე სპეციალისტს.
2. მშენებელი კონტრაქტორის საინჟინრო პერსონალი და მძიმე ტექნიკის ოპერატორები, რომლებიც ჩართულნი არიან მიწის სამუშაოებში მიიღებენ გაფრთხილებულ ინფორმაცია ჯილახის სამარხებისა და ჯილახთან დაკავშირებული რისკების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს როგორც მინიმ ინფორმაციას სამარხებთან დაკავშირებით, კერძოდ მათი ტიპები, საშიში ობიექტის იდენტიფიცირება და პერსონალის ქმედებები აღმოჩენის შემთხვევაში. კერძოდ პერსონალის ქმედებები სარისკო ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში შემდგომ ქვეთავშია აღწერილი.
3. საინჟინრო პერსონალისა და მძიმე ტექნიკის ოპერატორების პერიოდული ტრენინგის ფარგლებში (ყოველ 6 თვეში ერთხელ) მოხდება ჯილახის შესახებ ინფორმაციის შეხსენება მიმდინარე სწავლების კურსის ფარგლებში. სწავლებების რეგისტრაცია მოხდება ზოგადი სწავლების პროგრამით - სწავლების სპეციალური (ცალკე) რეგისტრაციის საჭიროება არ არსებობს.

3.2. პერსონალის ქმედებები საეჭვო ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში

კომპანიის პერსონალის თითოეული წევრი საეჭვო ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

1. აღმოჩენის მიწისქვეშა კონსტრუქციის, ქვაყრილის, ჩონჩხების ან ჩონჩხების გროვის, ძვლების, მღრღნელების სოროების ან სხვა არაორდინალური ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში კომპანიის ყველა თანამშრომელი ვალდებულია გააჩეროს სამშენებლო სამუშაოების პროცესი. აღმოჩენის ადგილის ირგვლივ მომუშავე სხვა თანამშრომლები გააფრთხილოს სამუშაოების გაჩერების შესახებ და დაუყოვნებლივ მიმართოს უბნის უფროსს, საიტის მენეჯერს ან ინჟინერს რათა მიაწოდოს ინფორმაცია აღმოჩენის შესახებ. ამ შემთხვევაში სამუშაოები

გაჩერებულია, თანამშრომლები იცავენ დისტანციას ობიექტამდე.

2. თავის მხრივ ობიექტის ინჟინერი ან მენეჯერი ინფორმაციას მიაწვდის კომპანიის გარემოსდაცვით და სოციალურ სპეციალისტებს, ან იმ შემთხვევაში თუ ინფორმაციის მიწოდება ვერ მოხერხდა - პროექტის მენეჯერს ან სამუშაოების მწარმოებელს;
3. აღმოჩენის ადგილი დაახლოებით 10 მეტრის რადიუსში უნდა შემოიფარგლოს გამაფრთხილებელი ლენტებით, ანუ უზრუნველყოფილი იქნას, რომ აღმოჩენის ადგილი დარჩეს ხელუხლებელი, ხოლო თანამშრომლები არ შევიდნენ რისკის ზონაში.
4. გარემოსდაცვითი სპეციალისტი ინფორმაციას გადასცემს პროექტის მენეჯერს, სპეციალისტ არქეოლოგს, ზედამხედველ ინჟინერსა და დამკვეთს. ინფორმაციის პირველადი მიწოდება მოხდება ტელეფონით ან ტექსტური შეტყობინებით, შემდგომ კი 24 საათის განმავლობაში წერილობით, ოფიციალური წერილის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
5. გარემოსდაცვითი სპეციალისტი სოციალურ სპეციალისტთან ერთად, იღებს გადაწყვეტილებას ადგილობრივი მოსახლეობის გაფრთხილების საჭიროების შესახებ. გადაწყვეტილების მიღებაში ჩართული უნდა იქნან ზედამხედველი კონსულტანტისა და დამკვეთის გარემოს დაცვის სპეციალისტები. თუ ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, სოციალური სპეციალისტი აფრთხილებს ადგილობრივ მოსახლეობასა და სოფლის წარმომადგენლებს საშიშროებისა და ობიექტთან მიახლოების აკრძალვის შესახებ.
6. კომპანიის გარემოსდაცვითი სპეციალისტი აწვდის ინფორმაციას დამკვეთს, მოთხოვნით, რომ შეტყობინება გაეგზავნოს “სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის” ვეტერინარული ზედამხედველობის დეპარტამენტს, რათა ჩატარდეს საჭირო პროცედურები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან შემდგომი ქმედების განსახორციელებლად.
7. მშენებელი კონტრაქტორის არქეოლოგი დაათვალიერებს აღმოჩენის ადგილს რათა დაადგინოს აღმოჩენილი ობიექტის კულტურული ან ისტორიული მნიშვნელობის შესახებ და კოორდინაცია გაუწიოს შეთანხმებულ ქმედებებს სანიტარულ სამსახურებთან.
8. სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოსდაცვის სპეციალისტი ატყობინებს პროექტის მენეჯერს რომ ტერიტორიაზე შესაძლებელია სამუშაოების გაგრძელება, რაზეც ინფორმაცია მიეწოდება ობიექტის მწარმოებელ მენეჯერს და პერსონალს.
9. გარემოსდაცვითი სპეციალისტი ადგენს დოკუმენტს, რომელიც ასახავს აღმოჩენის ფაქტს და განხორციელებულ ქმედებებს, რომელიც მიეწოდება ზედამხედველ კონსულტანტს და დამკვეთს.

4. პასუხისმგებლობები

ჯილენის სამარხის ან მომატებული რისკის აღმოჩენის შემთხვევაში, ასევე თანამშრომლების სწავლებასა და კომპეტენციის ამაღლებაზე ზოგადი პასუხისმგებლობა ეკისრება **პროექტის მენეჯერს**.

კომპანიის **გარემოსდაცვითი სპეციალისტი - მაია ვაშაკიძე** პასუხისმგებელია უზრუნველყოს მიმდინარე პროცედურის დანერგვა, მონაწილეობა მიიღოს თანამშრომლების სწავლების მასალების მომზადებაში, განახორციელოს პროცედურით დაგეგმილი ქმედებები ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში და მოამზადოს აღმოჩენისა და მისი შემდგომი ქმედებების შესახებ ანგარიში, რომელიც შევა როგორც კონტრაქტორის ყოველთვიურ ანგარიშში ასევე მიეწოდება ზედამხედველსა და დამკვეთს. შეაფასოს მიმდინარე დოკუმენტის ადეკვატურობა და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს დოკუმენტის განახლება.

კომპანიის **სოციალური სპეციალისტი ნინო პაატაშვილი** ვალდებულია ხელი შეუწყოს გარემოსდაცვით სპეციალისტს მიმდინარე პროცედურით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაში, ასევე საჭიროების შემთხვევაში გააფრთხილოს ადგილობრივი მოსახლეობა საშიშროების შესახებ.

კომპანიის **არქეოლოგი** პასუხისმგებელია განახორციელოს ტერიტორიის ვიზუალური შეფასება კულტურული მემკვიდრეობის კუთხით ობიექტის ღირებულებაზე და თუ ასეთი დადგინდა განახორციელოს შემდგომი ქმედებები, რომლების გათვალისწინებულია არქეოლოგიური ობიექტის შემთხვევითი აღმოჩენის შემთხვევაში. თუმცა აქ გათვალისწინებული უნდა იქნას ვეტერინარული ზედამხედველობის დეპარტამენტის დაშვება ობიექტზე სამუშაოების განხორციელების შესახებ.

კომპანიის **გარემოსდაცვითი საველე ოფიცრები: ლევან ოზბეთელაშვილი და ზურაბ წიქორიძე** ვალდებულნი არიან რომ ზედამხედველობა გაუწიონ ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებს, უზრუნველყონ თანამშრომელთა ინფორმირებულობა შემთხვევითი აღმოჩენებისა და ჯილენის შესაძლო ობიექტის აღმოჩენის და მიმდინარე პროცედურის შესახებ.

ობიექტის მენეჯერი/სამუშაოების მწარმოებელი ვალდებულია მიიღოს ინფორმაცია თანამშრომლებისგან შემთხვევითი აღმოჩენის შესახებ. უზრუნველყოს აღმოჩენის ადგილის ხელშეუხებლობა შესაბამისი პროცედურების დასრულებამდე, უზრუნველყოს ობიექტზე მომუშავე პერსონალის ინფორმირება და მართვა.

მიწის **სამუშაოებში ჩართული ყველა თანამშრომელი, მძიმე ტექნიკის ოპერატორები** ვალდებული არიან სამუშაოების განხორციელების პროცესში გაითვალისწინონ მათი სწავლებისას მიღებული ცოდნა, და მიაქციოს ყურადღება შემთხვევითი აღმოჩენების იდენტიფიკაცია. აღმოჩენის შემთხვევაში (ან ეჭვის გაჩენისას) გააჩეროს სამუშაო პროცესი და იმოქმედოს ინსტრუქციის შესაბამისად.

კომპანიის **ყველა თანამშრომელი** პასუხისმგებელია იცნობდეს მიმდინარე პროცედურას, და შემთხვევითი აღმოჩენის ან ეჭვის შემთხვევაში გააჩეროს სამუშაოები და შეატყობინოს აღმოჩენის შესახებ ობიექტის მენეჯერს/სამუშაოების მწარმოებელს.

5. დოკუმენტის განახლება

დოკუმენტის განახლება მოხდება საჭიროებისამებრ, რათა განახლებულ ვარიანტში გათვალისწინებული იქნას შესაძლო ხარვეზები ან გაუთვალისწინებელი გარემოებები.

დოკუმენტის განახლება შეიძლება განხორციელდეს შიდა აუდიტის შედეგების, დამკვეთის ან ზედამხედველი კონსულტანტის მოთხოვნების საფუძველზე.

დოკუმენტი ძალაში შედის გარემოსდაცვითი სპეციალისტის და პროექტის მენეჯერის მიერ დამტკიცების შემდეგ.

დანართი 1 - სურსათის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია



Göçay İnşaat Taahhüt ve Ticaret A.Ş.
Saniye Sokak, No:6 G.D.P.06700 Ankara - TÜRKİYE
Phone: 90 312 447 67 88 - Fax: 90 312 447 67 99
e-mail: gocay@gocay.com.tr



01/09/2023

N04.01/109

ვის : სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს
მის : მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი
ელ. ფოსტა: info@mfa.gov.ge
ვის : ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს - სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი
: IRD Engineering S.r.l
მის: Lungotevere Delle Navi 30 Roma 00196, Italy
ელ. ფოსტა: irdgeorgia@irdeng.com
პროექტი : ქალბატონ მარგო გაბელაიას - პროექტის მენეჯერი
: ბატონ ლევან ყიზილაშვილს – ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე
ასლი : საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (RDMDI)
მის: ალ. ყაზბეგის გამზირი #12, 0160 თბილისი, საქართველო
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ასლი : ლევან კუპატაშვილი - თავმჯდომარის მოადგილე RDMDI
პროექტი : PCIP-CW-RFB-01 თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საერთაშორისო გზის
საგარეჯო-ბადიაურის კმ35+500-კმ52+540 მონაკვეთის (ლოტი -3) სამშენებლო
სამუშაოების (კახეთის მაგისტრალი)
თემა : ჯილენთან დაკავშირებით დამატებით ინფორმაციის მოძიება

ბატონო ზურაბ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია კახეთის რეგიონში მაგისტრალის მშენებლობა. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების მიზნით 2023 წლის თებერვალში გაფორმდა ხელშეკრულება თურქულ კომპანია „GÖÇAY İNŞAAT TAAHHÜT ve TİCARET ANONİM ŞİRKETİ“, რომელიც უზრუნველყოფს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, თოხლიაური - ბადიაურის მაგისტრალის მონაკვეთის სკმშენებლო სამუშაოების განხორციელებას. ხსენებული გზის მშენებლობისთვის 2021 წლის 04 ოქტომბერს გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის #2-1420 ბრძანება და გარემოს დაცვითი გადაწყვეტილება, სადაც მე-11 პირობის მიხედვით მოთხოვნილია: „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის ეტაპზე სამშენებლო სამუშაოების წარმოება უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის N274 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით;“ კვლევის მომზადება.

Göçay İnşaat Taahhüt ve Ticaret Anonim Şirketi (TD 405576005)
20 Paşlıcazde Str. (Former Budapest Str.) Tbilisi, 0160, Georgia T. + (995 32) 200 0909
Saniye Sokak No:6 Gaziosmanpaşa 06700 Ankara, Türkiye T. +(90 312) 447 6788
sorbelk@gocay.com.tr, bnlliloglu@gocay.com.tr, www.gocay.com.tr



Göçay İnşaat Taahhüt ve Ticaret A.Ş.
Sarıyer Sokak, No:6, D.P. 06700 Ankara - TÜRKİYE
Phone: +90 312 447 67 08 - Fax: +90 312 447 67 99
e-mail: gocay@gocay.com.tr



იქიდან გამომდინარე, რომ მაგისტრალი მირითადად გადის სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე, კერძოდ, ვენაზეზე ჯილენის სამარხების არსებობა სამშენებლო ბუფერში ეჭვს ბადებს, მაგრამ საკითხის ძალიან დიდი საფრთხისა და ეპიდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით, ვცდილობთ ყველა სახის ინფორმაციის მოპოვებას აღნიშნულ ტერიტორიაზე ხსენებული დაავადების კერებისა და მათი სამარხების შესახებ.

იქიდან გამომდინარე, რომ სამშენებლო საქმიანობის დაწყება იგეგმება უახლოესს მომავალში, გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში მოგაწოდოთ თქვენს უწყებაში არსებული ინფორმაცია ან კვლევა ჯილენის სამარხების შესახებ, რომელიც შეიძლება კვეთაში იყოს სამშენებლო ბუფერთან (იხ. თანდართული Shp. ფაილი).

კითხვების შემთხვევაში გთხოვთ დაუკავშირდეთ ჩვენს გარემოს დაცვის ინჟინერს მანია ვაშაკიძეს (+995) 593 32 30 77 ან m.vashakidze@magro.ge.

პატივისცემით,

აშვინ ოზბეკი

პროექტის მენეჯერი

გოჩაი ინშაათ თააჰჰუთ ვე თიჯარეთ ანონიმ კომპანია

დანართი:

თონლიაური-ბადიაურის საპროექტო გზის Shp. ფაილი

Göçay İnşaat Taahhüt ve Ticaret Anonim Şirketi (TİD 405576005)
20 Panjikidze Str. (Former Budapest Str.) Tbilisi, 0160, Georgia T. + (995 32) 200 0909
Sarıyer Sokak No:6 Gaziosmanpaşa 06700 Ankara, Türkiye T. +90 312) 447 6788
ozzbek@gocay.com.tr, btellinglu@gocay.com.tr, www.gocay.com.tr



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/7865
05/09/2023

7865-09-2-202309051008



გონი ინჟინთა თაპკუთ ვე თიჯარეთ ანონიმ კომპანიის

პროექტის მენეჯერს

მატონ აშვინ ომზეცს

ელ-ფოსტა: sozbele@gocay.com.ge

თქვენი მიმდინარე წლის 1 სექტემბრის #28115 წერილთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება მაგისტრალის მშენებლობას საგარეჯოს მუნიციპალიტეტში თოხლიაური - მაღიაურის გზის მონაკვეთის გეოგრაფიულ არეალში და ჯილბის შესაძლო აღმშენებლის, ცხოველთა სამარხების არსებობაზე ინფორმაციის გამოთხოვას გაცნობებით, რომ სააგენტოს ხელთ არსებული ოფიციალური მონაცემებით, თქვენს მიერ გადმოგზავნილ სიტუაციურ გეგმაზე და SHP ფაილზე მითითებულ ტერიტორიაზე ჯილბით მკვდარი ცხოველების რეგისტრირებული სამარხები არ ფიქსირდება, თუმცა, მისგან დაშორებით, 7000 მ-ში რეგისტრირებულია ეპიზოტიური კერა, კახეთის რეგიონის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ჯილბის აღმშენებლის არსებობაზე საფრთხის შემცველ ტერიტორიას, სადაც სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მრავლადაა დღემდე უცნობი სპონტანური კერები და უკონტროლო სამარხები, რომელიც რისკის მატარებლად რჩება ათეულობით წელი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა იმოქმედოთ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილების დანართი #2-ის (ცხოველების ჯილბთან ბრძოლის პროფილაქტიკურ-საკარანტინო წესი) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ამავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ჯილბის დაავადებისაგან პერსონალის დაცვის მიზნით ნიშნის აღება უნდა მოხდეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების მქონე

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. N6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia

ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67 www.nfa.gov.ge
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65 info@nfa.gov.ge

ვეტერინარის მიერ სამუშაოების დაწყებამდე ან/და შემდგომი სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პროცესში (პროექტის განხორციელების ადგილზე, გეოგრაფიულ არეალში/ლანდშაფტებში).

გთხოვთ, სამუშაოების წარმოების პროცესში ჯილხეზე ეჭვის მიტანისას ან/და ჯილხის შემთხვევის დაფიქსირებისას, შეაჩეროთ საქმიანობა და გვაცნობოთ.

დანართი: 1 ფურცელი

პატივისცემით,

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი

